ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №706728

ნომერი: AR1131252

თარიღი : 21.05.2013

გაცემის თარიღი : 28.05.2013

გაცნობის თარიღი : 29.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანის ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ (ნაკვეთი N19);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემური გოგელაშვილი პ/ნ 62001003966
- სოხუმი ე.ეშბას ქ. N 197 ბ. 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 სექტემბრის №344734 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სამსახურს 2013 წლის 21 მაისს № Aღ1131252 განცხადებით მომართა შპს „არტ დეველოპმნეტი“-ს მინდობილმა

პირმა დემური გოგელაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 სექტემბრის №344734 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთის ნაწილში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 სექტემბრის №344734 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ლუბლიანის ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ (ნაკვეთი N19), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.01.017.015), მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტიდა გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 20 სექტემბრიდან 2015 წლის 20 მარტის ჩათვლით,აღნიშნული მშენებლობის დამკვეთს წარმოადგენდა შპს „იბერია“.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „იბერიასა“ და შპს „არტ დეველომპმენტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც შპს „არტ დეველოპმენტს“ გადაეცემა მშენებლობის ნებართვა, და მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სს "ჯი პი სი"–ს თანხმობა, აღნიშნული დოკუმენტებით გამოხატულია ნება შპს „არტ დეველოპმნეტი“-ს დამკვეთად დაფიქსირების.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და დამკვეთად შპს „არტ დეველოპმენტი“-ს დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, დმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1.შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 20 სექტემბრის №344734, კერძოდ: დამკვეთად შპს „იბერია“-ს ნაცვლად